

# 3 3 3 3 3



საპოლიტიკო სამაცნელო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის პოველ კვირა დღეს

№ 20

მ ა ი ს ი 14 1900

№ 20

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვეთ გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურით.

**ხელის-მოწერა მიღება:** თვილისში „შერი-კითხვის საზოგადოების კანცელირიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და ოვათ „კვალის“ რედაციიში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის იდრები: თიფლის. რედაცია „**ქვალი**“.

**შინაარსი:** ბურები.——სხვა-და-სხვა ამბავი.—,,კვალი“-ს კორესპონდენციები.—ინგლის-ტრანსვალის ომი. უურნალგაზეთებიდან.—წერილი ქუთაისიდან ი. კილაძესი.—ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა (გერმანია) დ. თოფურიძესი.—მცირე შენიშვნა ჭ. თავართქილაძისა.—გაკვრით სევ ჯ—ლისა.—პატარა ყარამნიანი ი. ევდოშვილისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებები.

„**ქვალის**“ ეს ნომერი ვერ გამოდის ისე, როგორც უნდა გამოსულიყო.

გ უ რ ი ბ ი.

v

**მ**ეოთხე წერილში ჩვენ გავარკვიეთ ის წინააღმდეგობა, რომელიც დაიბადა ბურებს და ინგლისელებს შორის ტრანსვალში (№ 17). ეს წინააღმდეგობა ნიშნავს ორი ეკონომიური მოვლენის, ორი კულტურული ელემენტის შეჯახებას. ერთი მხრივ დანანი მეურნენი, სოფლელები—ბურები, მეორე მხრივ კი მრეწველი, მოქალაქენი—ინგლისელები. რაკი ბურებმა უარყვეს ინდუსტრია, ეს წარმოების უმაღლესი ფორმა, და ის უცხოელთ დაანებებს, ცხადია, ამით მათ თვითონვე გამოითხარეს არსებობის საძირკველი და ჰაერში გამოკიდული შეიქმნენ. და ასე დაემართება უცხოელი ერს, რომელიც ბურებსავით კარს იკეტავს და თავის გუთანს იქნა აღარაფერს ხედავს.

ასე თუ ისე, ბრძოლა ბურებს და ინგლისელთ შორის არის ბრძოლა პოლიტიკურ-ეკონომიური. ის ერთი, რომელიც მრავლდება ეკონომიურათ, მძლავრდება პოლიტიკურათაც და აი, გამძლავრებულმა ინგლისელებმა ტრანსვალში პოლიტიკური უულებებიც მოითხოვეს. ინგლისელები გამძლავრდენ არა მარტო მრეწველობაში, არამედ მეურნეობაშიც. აღმოცემობით ნაშოვნი ფულით შეიყიდეს მიწა-ადგილები და ასე ისინი ერთ და იმავე დროს ორივე ასპარეზზე გაბატონდენ. მათი რეფორმის კომიტეტმა პირველი მანიფესტი გამოსულია 1896 წ. დეკემბერში ქ. იოანესბურგში. აი რა სწერია ამ მანიფესტში: უიტლანდერები (უცხოელები) შეადგენენ სახელმწიფოს უმრავლესობას, მათ ეკუთვნით ნახევარზე მეტი მიწა-წყალი და საზოგადოთ ყოველივე საკუთრების ცხრა მეათედი, ხოლო ყველა ამაების მართვაში, თავის ცენტრების და თავისუფლების მოწყობაში ხმა არა აქვთ. პარლამენტმა უარპყო ჩვენი თხოვნა ორჯერ, ერთი 13 ათასი კაცისაგან ხელ-მოწერილი, ხოლო მეორე 38 ათასი კაცისაგან — ათავებს კომიტეტი. აქედან ცხადია, რომ ისინი პირდაპირ

ეკონომიკურ საფუძველზე აშენებენ თავის პოლიტიკურ  
მოთხოვნილებებს. ახალ ქონებრივ ურთიერთობას  
აღარ შეესაბამება ძველი პოლიტიკური წყობილებათ  
—ამბობენ ინგლისელები და ამით სრულ ლოლიკაში  
არიან.

კომიტეტის მეთაურები მოექმნადდენ საბრძოლველათ. ითანებდურგვს მცხოვრებთ იარაღები დაურიგეს და ასე შეაყნეს ქალაქის ჯარი. ეს გაიგო თუ არა მთავრობამ, მაშინვე ბურები გამოგზავნა ქალაქის დასაჭერათ. რეფორმის კომიტეტმა თავის-თავი გამოაცხადა დროებით მთავრობათ და ბრიტანიის წარმომადგენელს შემწეობა თხოვა. ამავე დროს (16 დეკემბერს) მოქალაქეებმა ტელეგრამით მიმართეს დოქტორ ჯემსონს, რომელიც ინგლისის ახალშენში იცყოფებოდა და თხოვეს მოშველება. აი რას წერდენ მას სხვათა შორის: „ის პირობები, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, გვაიძულებს მოგმართოთ თქვენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თქვენი ჯარით არ დაიგვიანებთ მოსვლას ჩვენდა სახსნელათ, თუ აქ რაიმე უბედურება დატრიალდა. ყოველივე ხარჯს, რასაც კი თქვენ გასწევთ ამ საქმისათვის, ჩვენ ვკისრულობთ. იყოდეთ, რომ დიდი გაჭირება გვაიძულებს ამას და არა სხვა რამე“. ჯემსონი, უკველია, მზათ იყო და ამ ამბავს ელოდა, თორემ მცორე დლესვე ტრანსვაალში შემოსვლას (ბოზუტლანდი) უერ მოასწრებდა. მას ახლდა 700 კაცი, თოფ-ზარბაზნებით აღჭურვილი. კრიუგერმა საჩქაროთ გაგზავნა ჯარი ჯემსონის წინააღმდეგ და აი, ეს ორი მტერი ერთმანეთს შეხვდენ სოფ. კრიუგერს დორფთან, ითანებდურგის ახლოს. ჯემსონი არ მოელოდა ასე უცემ ბურების თავს დასხმას. ის, პირიქით, ფიქრობდა ითანებდურგელები შეუერთდებოდენ მას და ტრანსვაალს დაიპყრობდა. მაგრამ მოტყუცვდა. ითანებდურგელებმა ის ბურებს მიატოვეს და ამათ მათი დამარცხება არ გაუჭირდათ. ჯემსონს მოუკლეს 130 კაცი, დანარჩენი ჯემსონითურთ ტკცეთ წაიყვანეს, ხოლო ბურებს სამი კაცი დაკლლათ (21 დეკემბერს). ითანებდურგი მაინც გამაგრდა. მაშინ ქალაქს ალყა შემოარტყებს, სანოვაგე შიგ არ შეუშვეს და მოქალაქენიც იძულებული გახდენ დანებებოდენ. კომიტეტის 22 წევრი დაატყვევეს, ხალხს იარაღი ჩამართვეს (26 დეკ.) და ასე აჯანყება დაწყნარეს.

რა ნაირათ შეხედა ამ გარემოებას ინგლისის  
მთავრობამ? ჯემსონის თაეს დასხვა მან აღიარა უკა-  
ნონოთ და უბრძანა მას საზღვარზე არ გადაეკლო,  
მაგრამ ეს პრინცეპა გვიან მოვიდა. ინგლისის წარ-  
მომადგენელი წავიდა პრეტორიაში და თხოვა კრი-  
უგერს იოანესბურგელებისთვის იარაღი აყეარათ, ხო-  
ლო ჯემსონი და კომპანია ინგლისისთვის მიეცა

გასასამართლებლათ. კრიუგერმა შეასრულა ქადაგი სის მოთხოვნილება, დეკემბრის გასულს ტუვის გადასცა ინგლისს და ლონდონის სასამართლომ ჯემ-სონს 15 ოვე სატუსაღო მიუსაჯა, ხოლო ხუთ მის ამხანაგს ათიღან შვიდ თვემდე თითოს. მეორე მხრით, პრეტორიის სასამართლომ რეფორმის კომიტეტის ოთხ წევრის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, დანარჩენთ ზოგს სატუსაღო, ზოგს ჯარიმა და ზოგს ტრანსვა-ლიდან დროებით გაძევება. მაგრამ პირველი განჩინება არ მოუყენიათ სისრულეში. ოთხივე სიკვდილით დასასჯელი გაათავისუფლეს და სამაგიეროთ 250 ათასი მან. ჯარიმა გამოართვეს. 45 იოანესბურ-გელ ტყვეს მიუსაჯეს ჯარიმა, თითოს 20 ათასი შ. და სს. ერთი სიტყვით, დამნაშავეთ ლმობიერათ მო-ეპირენ, მათ მხოლოდ ფული გადაახდევინეს და გა-უშვეს.

ამავე დროს, კრიუგერმა განაცხადა, რომ რე-  
ფორმის კომიტეტის ზოგ მოთხოვნილებას, როგორც  
მაგ. ინგლისელთა ბავშვების ინგლისურ ენაზე აღზრ-  
დას და ორანენბურგისთვის თვით-მმართველობის მი-  
ნიჭებას, დავაკმაყოფილებო. და მართლაც, ინის ში  
პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძა-  
ლით მაღნების რაიონში უცხოელთა შეიღებისათვის  
სკოლებში დედა-ენაზე უნდა ესწავლებინათ. ამან  
ძალის გახარა ინგლისელები, მაგრამ სამაგისტროთ  
ძალიან შეაწეხა შემდეგმა ორმა ახალმა კანონმა.  
პირველათ, პოლიციას ნება მიეცა გაექცევებია ტრან-  
სფალიდან ის, ვინც, მისი აზრით, საშიში იყო სა-  
ზოგადო მშეიღობიანობისთვის; მეორეთ, გაზეთის  
ყველა წერილს მოწერილი უნდა ჰქონდეს აეტორის  
სახელი და გვარიო. ეს ორივე კანონი ერთმანეთს  
აესხდენ, უკანასკნელი კანონის საშუალებით მთავ-  
რობა ტყობულობდა ვინ რა აზრის იყო და მოწინა-  
აღმდეგეს აძვებდა. ინგლისელებმა დიდი წინააღმდე-  
გობა გამოუტადეს ამ ორივე კანონს, განსაკუთრე-  
ბით კი უკანასკნელს, მარა ვერაფრია გააწყვეს.

ასე და ამ ნაირათ, ინგლისელ-ბურების განხეთ-  
ქილებამ გამოიწვია ინგლისელების პირველი თავს  
დასხმა ჯემსონის წინამძღვრლობით. ეს შესვეა გაპეიც-  
ხა ორივე ქვეყნის მთავრობამ, მაგრამ ამით არსებუ-  
ლი წინააღმდევობა სრულებით არ მოსპობილა. ის,  
პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა და ბოლოს დიდ  
ომათ გადაიქცა, რაიცა ჯერაც პრ დასრულებულა.  
მარა სანამ ომი გამოცხადდებოდა, მანამდის გრძელი  
მიწერ-მოწერა იყო გამართული ტრანსვალსა და  
ინგლისის მთავრობის შორის. ამ მიწერ-მოწერის შე-  
სახეზ შემდეგ მოყილაპარაკებთ. \*)

<sup>\*)</sup> «օցյունու» լռոճանելով զորյածությունը Տ. մար-  
քալս Սպահանց, Ռում Եղիշես առ զայտու և ա օնց-  
լուսը լու առ զայտու (№ 99). Տ. մարքալս Սպահանց

## სხვა-და-სხვა ამბები

**Մ**յրա-կոտեզուս Տաթօնցալոցքիս Շըշրու Շլուշրո  
կըշքա Ծանոթնուլու Կառաս, 28 Զանս.

კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებას აზრათ  
აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ ტფილისში  
უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი იქმნას და-  
არსებული.

о. б. гончарова Швейцария санкт-петербургской губернии. В 1880 году в санкт-петербургской губернии было основано первое русское училище для девочек. Училище было основано на средствах местных жителей и имело три класса. Училище было основано на средствах местных жителей и имело три класса. Училище было основано на средствах местных жителей и имело три класса.

საკომერციო სასწავლებელში მიღებულ იქმნა  
აპრილში მომხდარ ეგზამენტებს შემდეგ სულ 310  
ყმაშვილი. ამათში ქართველი მხოლოდ ოც-და  
სამია, რომელთაგანაც პირველ მოსამზადებელში  
შესულა—8, უფროს მოსამზადებელში—12 და სა-  
მიც პირველ კლასში. ეგზამენტი მოხდება კიდევ  
პირველ სექტემბერს. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს  
მაქს ასების ძის ფიშერის სახელობაზე შემდეგი  
იღრესით: თფილისის საფაჭრო და სამანუფაქტურო  
კამიტეტის კანცელარიაში. (სერგიევის ქუჩა, № 1).  
აქვე მსურველს შეუძლია უსასყიდლოთ მიიღოს  
ეგზამენტების პროგრამა.

დიდი თავისნისმცემელია ბურების, ოცგორცც დახაგრულ  
პატარა ერისა. ჩვენც თანაკუგონმნიბთ მათ ამისთვის და  
მსოფლიო ამისთვის. მაგრამ აქვთან კიდევ შეის არის  
ის, ორმ ბურები კველაზე მართალი იუგან და ინგ-  
ლისელები მტკუანი. ისტორია. პირიქით იმას გვეყვნება,  
ორმ ინგლისი უკველთვის მათ უთმობდა, თავისუფლე-  
ბას ანიჭებდა, რაც ასე იშვათია თანამედროვე ისტო-  
რიაში. ამ ფაქტების უარის ეფექტი შეუძლებელია და არც  
„შოქრთამული“ შეწრების ნაწარმოებია, ოცგორცც ეს  
ბ. მავრელს ჰერნია. და ორმ ინგლისის კონსერვატული  
სამინისტრო ბურგ სხვა სახელმწიფოების დაბრეალურ  
სამინისტროზე მეტი ლიბერალია—ამაზე ბ. მავრელიაც  
და გვეთანხმება...

მოსკოვიდან იწერებიან, რომ აქ გარდაიცვალა ცნობილი ქართული ეკლესიის მოღვაწე მიხ. საბინინი. საბინინი იყო დედით ქართველი, ხოლო მამით რუსი და მოღვაწეობდა საეკლესიო ასპარეზზე. მან გამოსცა ძვირფასი ნახატებით შემკული „საქართველოს სამოთხე“ და მრავალი სხვა. მას გარდა, მისი მეცადინეობით განაახლეს ბოლბის წმ. ნინოს მონასტერი, სადაც მან დააბინავა რუსის მონოზნები....

ჭიათურაში რაღაც გადამდები სენი გაჩენილა  
და ძლიერ დაუშინებია ხალხი. თფილისიდან უკვე  
გაემგზავრა სენის გამოსარკვევათ ბაქტეროლოგი.  
ასეთივე სენი გაჩენილა ქართლის ერთ სოფლეში,  
საღაც გაემგზავრა გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე თა-  
ვისი თანაშემწეო.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ გუბერნიის წინამძღვრლათ აირჩია თ. ს. წერე-თელი; მაზრების წინამძღვრლებათ: ქუთაისისა თ. დ. ა. ნიუარაძე, ოზურგეთისა თ. კ. ერისთავი, შორაპნის—თ. ს. დ. წერეთელი, ლექხუმის—თ. ი. გვ-ლოვანი, სენაკის—თ. ფ. ჩხეიძე, რაჭის—დ. ნ. ბაქრაძე, ხოლო ზუგდიდის მაზრის ორ კანდიდატს თ. გ. დადიანს და თ. კ. დადიანს თანასწორი ხეა ამოუვიდათ, და ორივე იქმნა წარდგენილი მთავრობასთან დასამტკიცებლათ.

ორშაბათს 15 მაისს, ოფიციალურად, მობრძანდება მისი უდიდებულესობა სპარსეთის შახი მუზაფერ-ედინი. აქ დარჩება სამ დღეს და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება საზღვარ გარეთ.

გაზ. „ახალი მიმოხილვა“, რომელიც ეს რა-  
მდენიმე ხანია მთავრობის განკარგულებით შეჩერე-  
ბულია, გამოვყა 18 მარტიმობისთვიდან. რედაქცია  
იმყოფება იქნება, სადაც წინეთ იყო.

„ՅՅԱԼՈՒС“ ՅՈՒՆԻՍՊԵՆԾՈՂՆԿՈՂՑՈ

**Առաջ.** Տաեցնածուն (Թուրանիս մահճա). յև Նողալու  
մջածարյակներ Տաճ. մարդաբանութեան 16. քո և Նողայ. Հյանձն-  
նութեան 12 զյուրիս մասնաւութեան նորոշութեան գործութեան վայ-  
րինաւ քայլութեան տիպ գագաթութեան Նողայ. Հյանձնութեան,  
Քյուր գայլարաւաց ացրյաւ վարութեան “արքայաւա” մ. օ.  
գայլարաւաց մասնաւութեան գործութեան տաճ կայսերական և Տա-  
յառաջութեան Տաճարաւաց վարութեան մասնաւութեան գործութեան  
ամառաւաց այսպիսութեան և Կայութեան (Կայութեան այսպիսութեան

რიბნი რასაკეთოველია) სამუდამოაც დასახლებულან, რადგან აქ სიღარიბეში ცხოვრება უფრო კადგინებოდათ, ხე-ტუე და შეშა, აგრეთვე საყნე ადგილებითაც უფრო უხვათ სარგებლობდენ. ამ 15—20 წლის წინეთ შემოსულა აქ ხე-ტუეს საწარმოებლათ ვიღაც „მარტინუზა სომები“, გაუმართავს ხელათ სახერხი სარაჩოები, მოუკუნია მხერხავი მუშები, დაუშზაღებია სხვა-და-სხვა ზომის მასალები, მარა უგზოდის გამო გერ გაუტანა; გზის გაგეთებას დიდი სარჯო უნდოდა, „მარტინუზას“ ამდენი თანხა არ ჭრის და თავი მიუწებებია.

ამას შემდეგ შემთხველა ჭალალოვი და ნემისძე, აუდიათ რამდენიმე წლით იჯარით ისარლოვის და იზუმ-სეის ტუე (აქაური ტუე მეტ საწილათ ნაძვი და სიჭის ხისა), შეუპეტებათ გზები, გაუმართავთ სახერხი ქარხანას, წელით მოძრავ მასქნებით და რამდენიმე წელს უწარმოებით, მარა, რადგან გზას დიდი სარჯო უნდოდა და თან და თან შეკეთებას საჭიროებდა, გვდარ გაუმდეს ზარალს და ქარხანა გადასცეს ვიღაც იტალიულ გაზირალისტ გალერეს და ცნობილ ბათომის მექანის რიბნების. ამ კვრთბიერებისა კვრთბიერებით დაატრიალეს საჭმე, გააფართოვეს წარმოება, გზებიც გაიგეთეს და რამდენისამე წლის განმავლობაში რამდენიმე თასი დასტურია ტუე გაჩეხეს, სად. მარტებისში გამართეს საწეობი და ორქელით მოძრავი წვრილ მასალების სახერხი ქარხანა. 1893 წელს აქვე შემოვიდა სახელმწიფო ტექშ სამუშაოთ მიქელაშვილი და გრგელია, რომელთაც ჭოროხის ხეობიდან ძეველი წელით მოძრავი მასქანა გადმოიტანეს და გამართეს სახერხი ქარხანა რიბნერის ქარხანიდნ ერთი გერსტით უფრო ახლო სად. მარტებისზე. ამან მასალის მზიდავი უნშები უფრო მიიზიდა, რადგან საღვრისები უფრო ახლო იქნა და ქირას იმასევ დებდენ. ამ საირაო ცოტა ირ იქნა კონკურენცია გაუწიეს კვრთბიერების ქარხანას. ასე კრთმმნეთის მეტრებით ვერც ერთმა და ვერც მეტრებ ვერ იხეირეს; მარა აქაურ მეტროდოთავის კი დიდი სარგებლობა იქნ წარმოების გაფართოება.

1895 წლის წელ-დიდობამ დიდათ დააზარალა თრივე ქარხები; მრავალი დამზადებული სეუბი და დახერხილი მასალა მოსტაცა შატარა მდინარე ჟოლისევის.

რიბნერის მარტების ქარხანა და საწეობი სულ გაუნადგურა ჩერიმიელამ, ამ ზარალის შემდეგ ორივე ქარხანა დაეცა. რიბნერმა თავისი ქარხანა გადაიტანა ასულლაზე, სახელმწიფო ტექში სად. მარტებისიდან 9 ვერსზე. 1897 წ.—ამავე წელს იანვარში გრგელიამ თავისი ქარხანა გადასცა, მ. ნაკაშიძეს, რომელმაც შეაგეთებინა დანგრეულ-დაუკუშელი ქარხანა და ხელ ახლა წარმოება გააჩადა და დღესაც აწარმოებს. ის შირიანათ და საღდათ უსწორდება კველა მომუშავების, მეურმე-მექამიებისა და სხვას, რისთვისაც დიდი მაღლობის დირია. წინანდელი

მეპატრონების თონი ხეთი წლის ბარათები აჭით მი- გიერთ მეურმე-მექამიების, მარა უული აქაშე გერ აუ-ლიათ მათგან.

ზემოხსენებული ქარხების გარემოება მისთვის მოვისხენიე აქ, რომ მეოთხეველმა უფრო ცხადათ დაინახს, რომ შეიძლება თუ არა ამ სოფელში რაიმე სასოფ-ლო წესრიგის შემოღება და მისი გელურ მდგრადებიდან გამოვეხა. რა საგვირველია შეიძლებოდა და დღე-საც შეიძლება, მარა სად არის შატრონი? ახლა ამ სოფელში სამოცამდე მუდამი მოსახლეა, როთა შეა რიცხვით 300 სული იქნება და ეს ამოდენა სალი კუველ-გვარ ადამიანურ წესრიგს მოკლებული არან, არც ეპ-კლება არსებობს ამათვეის, არც სეოდა, არც მდვრელი, არც მასწავლებელი, არან ისე მიშებული „სატის სარი-ვით“... აგრეთვე მეტათ უსუფთადო ატარებენ ცხვრების აქაური მეტიდრი, აქ რომ რამე გადამდები სენი განხდეს მთელ სოფელს გაანადგურებს, ასე გადაშენების გზას ადგია დღეს სოფელი სახლარი.

წინეთ აქაური მიწა წეალი სახნავ-სათესით, სახე-საბალახოთი და ტეით გლეხკაცობის საგუთებას შეადგენდა. შემდეგ მეზობელ სოფელებს მოსახლიათ ერთმანეთ შორის დავა, ამათ უველის ერთათ წამოდავებია ხაზინა (ამ დროთი უსარგებლია უზუმსკის და ისარლოესც და მათ კარგი მოზრდადი მთის მამული ხაუგდიათ ხეში). რა საგვირველია გლეხებობას ხაზინის გაუმარჯვნია და ტუე გადასულა მთლათ ხაზინის ხელში. საქანე მიწებით ისევ გლეხები სარგებლობენ, მხოლოდ გაუიდგისა და სხვა მირზე გადაცემის ნები არა აქვთ. ხე-ტუე და შეშის ნაკლებობით დიდ შევიწროებაში არიან დღეს აქაურები.

ტუეს მცველ აბიეშხიგების თავგასულობას აქ საზ-დევარი არა აქვს. ყოფილა მაგალითი, რომ ჭერ ერთს გამოურთმევია გლეხისათვის ფული, მერე მეორეს, ხოლო მესამეს თემი შეუდგენია და უფროსისათვის გადა-უცია!

აგრ რამდენი წელიწადია საფუტერე გაუმართავს აქაურ ტექსის მცველთა უფროსს ბ-ნ მისუროებს, გაუგე-თებაშებია დადინისის და სხვა სისტემის სკები, და მოუ-წვევია შეენირ მთხერხებულ ადგილზე. ახლა ასამდის ძირი სე-ჭეგის და ჭარბათაც სარგებლობის ამით, სოფელებისაც მიუბაძეს ამისთვის და აქა-იქ შეხვდებით სოფ-ლიათ თითო როლა ახსლი სისტემის სკებს. რომ უფრო ენერგიით მოჰქმდებოდა ბ-ნი რისურთვი მეფუტერების გაურცელებას დიდ სარგებლობას მოუტანდა აქაურ საზო-გადოებას და დიდ შატრივსც დამისტერებდა. ფუტერის მოშენება ამ ადგილებში მეტათ სარიანია; ადგილათ მრავლება და თავდაც კარგი დინსებისა იცის. აქ ბლო-მათ მოისოვება ფუტერის საგვები ეგავილიანი ხეები, ცა-ცხვი, ნეპენჩხალი, დიდგულა და სხვა და აგრეთვე შე-გილიანი მცენარებიც ბლომათ არის. აქაური თავდაც მაწეინარი არას დროს არ გამოვა, როგორც ეს გურიაში და ზოგიერთ სხვა ადგილებში იცის.

აქაური ძეგლებური სკება მეტათ უგუნდრათ არის  
გაპეტურული: ოგვალათ გამოთლივი ან შეპერილია ხის  
კოდი, თავები დატეჭილი აქვს და მარტო ფუტკრის შე-  
სასვლელი ადგილი აქვს, როცა თაფლის გამოღება მოუნ-  
დებათ, ფუტკარი უსათუოთ წელით უნდა მოახრინოს და  
როცა ფუტკრები დაიხოცებიან, მერე ააგლოჭენ თავებს  
და ისე გამოიღებენ ფიჭებს. ასე უდითოთ ეპურობიან  
იმ შატიასან მშრომელ მწერებს. აბრეშუმის ჭია აქ სრუ-  
ლებით არ მოჰქეავთ, ეს შეიძლება მთა გროიან და ცივი  
ადგილების მიზეზი იყოს, ბჟოლის ხესაც იშვიათათ შე-  
ხვდებით აქ.

ଶାକୀ ମତିଲେ ମୁହଁମା.

**საციფრაპნო.** კარგა ხანია, რაც თ. ციციშვილებმა და-  
არსეს კონტორია. ამ კონტორის მიზნათ აქვს საერთო გაუყოფე-  
ლი მამულიდან აპრილის ყველივე შემოსავალი, გასცეს  
პასუხი ყველა მოდავეს და წმინდა შემოსავლიდან ყველა მო-  
ნაწილეს თავ-თავისი მხველი დაურიგოს. რასაკვირველია,  
პირველში ბევრი წინააღმდეგი შემთხვევები აღმოჩნდა ამ  
საქმეს, მაგრამ დიდმა მეტადინებამ და გულის  
გაუტეხავობამ იმ წერტილამდე მიახშევინა, რომ ახლა, ცოტაა  
თუ ბევრი, ხსეუბული კანტორი ყაველ თვეს აწვდის  
თავის მონაწილეებს საერთო შემოსავლიდან მხველ წილს და  
ამით დიდ შეღავათს აძლევს ყველას და, მით უმეტეს, ისეთ  
პირო, ორმეტაც ციოთონ სიარული და შემოსავლის აღება  
არ შეუძლიათ. შეძლებისა და გვარათ მრავალ გარეშე პირთაც  
აწვდიდა ხოლმე კანტორი თავის წვლილს და დღესაც  
აწვდის, ახლაკი თვალ საჩინო შემწეობა აღმოჩნდინა კანტო-  
რის მონაწილეებმა ერთ თავის მოძმეთაგანს 30 აპრილს.  
საქმე იმაშია, რომ დავით პეტრეს ძეს ციციშვილს. ერთმა  
გარეშე პირმა გაუყიდა მოელი მონაწილეობა ამ ციციშვილი-  
სავი ნათესავის მინდობილობით. მამულის საჯაროთ გაყიდ-  
ვის დროს ვაჭრობაში შევიდა კონტორის მინდობილობით  
მამულის მმართველათ ყოფილი თ. დავ. დიმ. ციციშვილი და  
საერთოთ, საკანტოროთ დამტკიცა. თუმცა ზოგიერთ-  
მა პირმა მონაწილეობა არ მიიღეს მამულის შეყიდვა-  
ში და თავი მხვედრი წილიკ გაიტანეს ხსენებული  
ფულიდან, მაგრამ დანარჩენებმა მაინც არ დაანებეს ამ საქმეს  
თავი მამული სხვა პირს არ ჩაუგდეს ხელში. ხოლო, რაკი  
ჰყედავნ თავისი მოძმის გაჭირვებულ მდგომარეობას და  
წერილ წეილობას (რვა შვილის მამა), 30 აპრილს გადა-  
სწვიტეს ახუჭონ ეს ნასყიდი წილი და მით მოძმე გამოიყანონ  
გაჭირვებულ მდგომარეობიდან. ეს გადაწყვეტა ამ დღეებში  
წესიერათ იქნება სისრულეში მოყვანილი. ხსენებულ პირთ  
ამ მონაწილეობის შეყიდვა დაუჯდათ სამას თუმნამდე.

დღიდ მაღლობის ღირსნი არიან ყველა, ამ საქმეში  
მონაწილეობის მიმღებნი და სასურველია, რომ ამ კანტორის  
საქმე უფრო და უფრო კარგათ წავიდეს, როთაც ამ სამაღლობელი  
საქმის ჩამდენ პირთ საშუალება მიეცემთ კვლევ კილევ  
ბევრი ამ ნაირი და კიდევ სხვა კეთილი საქმე ჩაიდინონ.  
იმდენა ეს მაგალითი სხვა გვარებშიაც კაი გვლენას  
იქნიებს.

აღტაცებული.

**ს. აჭარა (გურია).** „კვლის“ მე-19 ნომერში მოხატვის წარმოვადგინო აკანის სამკითხველოს ანგარიში. აი ეს ანგარიშიც: აკანის სამკითხველო დაარსებულია 1898 წელს 25 დეკემბერს, ამ წელს ჰყავდა 51 ხელის-მომწერა წევრი. ამათგან უნდა შემოსულიყო სამკითხველოს სასაჩვენებლოდ 65 მ. 75 კ. ხოლო შემოვიდა 30 მ. 21 კ. კერძო შემოწირულება—ფულად 60 მ. 87 კაპ. სულ 91 მ. 08 კ. ამათში დაიხარჯა სამკითხველოს სხვა-და-სხვა საჭიროებაზე დღიდან დაარსებისა ამ წლის 15 აპრილამდის 81 მ. 7 კაპ. დანარჩენი 10 მ. 1 კ. კი ითვლება უწინდელს გამგეზე.

მიუხედავათ იმისა, რომ სამკითხველოს საკმაო მკითხველი პყავს, ნივთიერათ ძლიერ შევიწროებული, რაც მაგრა დამორჩილების უმორჩილესათ ვთხოვთ ბ.ბ. წევრებს და უწინდელ გამგეს აცანის სამკითხველოსი, ღრაზე მოაწოდონ სამკითხველოს დაპირებული ფულები. აგრეთვე ვთხოვ იმ პირზე რომლებსაც აქვთ სამკითხველოს დაარსებამდის წარმოდგენებით შეგრძოვილი ფულები, რომელიც საკითხველოსთვის იყო გადადგენილი, ახლა მაინც დაუბრუნონ სამკითხველოს.

გამგე აცანი

062301-186) 613-11500 280.

ურების საბოლოოთ დამარცხება ასელა ეჭვს გაუშეა. რობერტის ჯარების შეწრაფლ მოძრაობას ბურები გრი-სათ გერ გაუმაგრდენ და იძულებული შეიქნენ ქალაქები, სოფლები და ციხე-სიმაგრეები ზედა-ზედ მიეტოვებიათ. ამ ერთი კვირის დეპეშები შეოლოდებულთა გამარჯვების და ბურების დამარცხებას დაღადებენ. კრონშტადიდან შეტენი ლინდლეიში / გადავიდა, მაგრამ ლინდლეიც ჩქარა დაიწირეს ინგლისელებმა და სტეინიც ქალაქიდან გაიქცა. 10 მაისის დეპეშა ამბობს: კრონშტადიდან იწყებან, რომ ინგლისის ქვეით ჯარი წინ მიდის. ჯარი შენებ არის, რკინის გზის მიმოსვლა განახლებულია, მტრება გადაწყვირა განაგრძოს პროცესი და მისი ჯარი სიმაგრეებს აკეთებს მდინარე რენსტრერთან. მერე დღის დეპეშა გვატეობანებს, რომ ფრენზი გადავიდა ამ მდინარეს და ბურებმა სიმაგრეების გაეთება გეღარ მთა-სწრეს. ინგლისის ჯარის ერთი ნაწილი შეგებ შევიდა ტრანსვალში. აქ ტრანსვალელი ბურები ამბობენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო. პრეტორიაში შედგა გომიტეტი, რომელიც ქალების, ბავშების და ქონების დახიზვნას შეუდგა ჩრდილოეთის მთებში. კრიუგერი ამბობს დავიცვავთ ქ. იანესბურგს და პრეტორიასც. ინგლისელებმა გათავისუფლეს აგრძოვე ქალ-მეფებინგი, რომელიც აგრ 8 ოქა ბურების ალეით იურ გარშემორტემულია. აი რას იწერება ამის შესახებ რობერტის: მეფებინგის გათავისუფლების დროს მტერზე იურიში მიიტანა ჩვენმა ჯარმა და სრულად დამარცხა იგი. ინგლისელებს მოუკლეს 3 კაცი და დაუკრეს 22 კაცი. მეფებინგიდან გამოსტული მეციონენტთა ჯარ შეურთდა ინგლისელთ და მტრის მთავარ-ბანაჟე იერიშით მავი-

და ბურები განდევნების, მათ დაატოვების ერთი ზარბაზნი და აურებელი სამხედრო მასალა. მტერი უკან იწევს. ნატალში ბურერიც შენეთ არის და ბურების ჩრდილოეთით მიერკება. ერთი სიტემით, ტრანსფას შემთადგენ სამი მხრით, და უნდა კითხვით დამიც ადრე გათავდება ინგლისელთა სასარგებლოთ. თუ ეს ასე მოხდა, ტრანსფას და თანახუ გადაიქცევიან ინგლისის ახალშექებათ, რომელთაც შემდეგ რამდენისამე ხნისა თვით-შპართველობას შეანიჭებენ, როგორც ეს სხვა ახალშექელთ აქვთ მინაჭებული.

### ურნალ-გამეტებიდან

**„**წყემსის“ მე 8 №-ში დაბეჭილია შემდეგი:

„ჩვენ რედაქიას მოუვიდა მრავალი წერილები, რომელშიაც ზიზღ უცხადებენ „ივერიის“ ახალათ მოვლენილს მწერალს „ახალ მოსულს“ იმ სამარცხინო პოლემიკისათვის, რომელსაც იგი უწევს ბ. ფურდანის. სამუხარით ამ წერილებს რედაქტია ვერ აძლევს ადგილს, თუმცა იგი სრულებით ეთანხმება წერილების ავტორთ და თავის მხრითაც უცხადებს უკავიათილებას „ახალ-მოსულს“ იმ სამარცხინო საქციელისთვის მწერლობაში, რომელსაც იგი ჩადის „ივერიაში“ ბ. ფურდანის წინააღმდეგ. როგორც წერილების ავტორთ, ისე ჩვენს რედაქტიასაც გასაკვირველად მიაჩნია, რომ ბ. ი. ჭავჭავაძე ასე ათარებებს ამ მწერალს თავის გაზეთის ფურცლებზე. ყველა მოუთმენლათ ელის, რომ ნიღაბი ჩამოეხადოს ამ ახირებულ მწერალს...“

\* \*

მართალია, ბ. ახალმოსული მკითხველ საზოგადოებას არ მოსწონს, მაგრამ სამაგიეროთ ის მოსწონს ბ. ლალს და ეს ისე, რომ ყველა მისი წერის საუცხოვო მანერა შეუეთისებია და „მოამბის“ მე-3 №-ში კიდევ ერთხელ ფურდანის წინააღმდეგ გამოულაშერნია. (ის ბ. ახალმოსულივით „კალის“ ხელმოუწერელ წერილებს ფურდანის აწერს!). მოგეხსენებათ, რომ ბ. ლალი ამას წინათ ძალიან გაგვიჯავრდა, როგორ თქვით, ვითომ მე კაპიტალისტებს გამოვექმნავო, ეს ცილის-წამებაა! მარა როცა ამის დასამტკიცებელი საბუთი მოვუყვანეთ, ახლა გაიძახის, რომ მე კაპიტალიზმს გამოვექმნავ და არა კაპიტალისტებსი! და ეს თურმე თვით მუშების ინტერესიც ყოფილა. აი სხვათა შორის ერთი მისი საარაკო საბუთი:

„გაგიგონიათ თქვენ, ბ. ფურდანია, რომ რაც უფრო ფართოა ეს თუ ის სამრეწველო საქმე (კაპიტალისტური), მით უმჯობესია მუშათა მდგრადია? უფრო დიდს, უფრო ფართო მწარმოებელს შეტი საშუალება აქვს გააუმჯობესოს ტექნიკური მხარე

საქმისა, სასანიტარო ნაწილა. უკეთესი საფრთხეები იქმნიას მუშებასათვის, ბიბლიოთეკა-სამინისტროს დაარსოს მათთვის და სხ.“ და სხ.

ერთი სიტემით, მუშების მდგრადირება მაშინ გაუკეთესდება, როცა თვით კაპიტალისტის მდგრადირეობა გაუკეთესდება, როცა ის ბევრს ფულს მოიგებსო — ამბობს ბ. ლალი. აქედან ცხადია, ინტერესი მუშათა და კაპიტალისტთა ერთი და იგივეა და „პროგრესიული მწერალი“ კაპიტალისტის გამდიდრებას უნდა ცდილობდეს. ამას ლალადებს თითქმის ეს ერთი საუკუნეა ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ბასტიის წინამდლოლობით და ამასვე ავრცელებს ჩვენში ბ. ლალი ამას უწოდებს ის „მარქსისტობაა“, მაშ ამას ისევ „ნარობიულების ბასტიისტობაა“. არა, ბ. ლალო, თუ ეს „მარქსისტობაა“, მაშ ამას ისევ „ნარობიულების ბასტიისტობაა“ აი რას წერდა იგივე ლალი მას ქამასა შანა, როცა ის მარქსისტმს ეწინააღმდეგებოდა და „ნარობიულების“ ეტრულდა:

„კაპიტალიზმის კულტურულის დროს უმრავდესობა ინაგრება, ხოლო ინტელიგენციის მოვალეობაა გაუადგილოს ჩაგრულთ დღის კარამი და გაუადვილოს მომავლის მშობელს ტკივილებით“. («ივერია» 1895 წ. № 65, წერილი «უახლოესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა»).

აი 1895 წ. «ინტელიგენციის მოვალეობა» რა ყოფილა. ახლა, ამ 1900 წ. კი, ინტელიგენციის მოვალეობაა თურმე 『დამჩაგვრელთა』 გამოსარჩევებაც! რომელი ლალი მართალი? 1895 წლის თუ დღევანდელი? იმედია ამას თვითონვე გვეტყვის.

ბ. ლალი ამ თავის „მარქსისტობას“ არა კმარობს, და ახალმოსულივით ცილის-წამებასაც მოჰყოლია. ის ამბობს:

„ბ. ივანოვიჩის წერილი, რომლის წინააღმდეგ ჩვენ დავსწერეთ მოწინავე სტეტია, დიდი ფედერაცია. ბ. ივანოვიჩი ეხება იქ ნაეთის წარმოებას, მწარმოებელთ, მუშებს, პროგრესიულ მწერლის მოვალეობას, ტარიფის მნიშვნელობას და სხვას. ჩვენ ამ ფელერონში შემუდარათ მოვექვენა ბ. ივანოვიჩის მხრით ერთი აზრი — ტარაფის მნიშვნელობის შესახებ და სწორეთ ამ აზრის წინააღმდეგ დავსწერეთ წერილი, რომლის სათაურია 『რე вопросу о значении высокого тарифа.』 ბ. ფურდანია კი პოლემიკურ გატაცებაში აი რა ხრის იგონებს. მას ამოუწერია ბ. ივანოვიჩის ფელერონიდან სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება მუშებს და პროგრესიულ მწერლის მოვალეობას და ამას შემდეგ ჩემი წერილიდან ამოუგლებია ფრაზა: «Намъ кажется что съ положеніемъ, выскаживаемыи г. Ивановичемъ въ этой статьѣ совершенно нельзя согласиться.» გამოდის რომ ჩვენ ვეწინააღმდეგებოდეთ ბ. ივანოვიჩის აზრს მუშების შესახებ! ამაზე უცხა-

დესი და «უნაგლესი» სრიგა ძელია კიდევ მოიძებნოს  
საპოლემიკო ლიტერატურაში.

აი აქ ერთი სტრიქონი არ არის ისეთი, რომ  
შივ ორი ტყუილი არ იყოს. ჯერ ერთი, ივანოვი-  
ჩის ფელეტონია ძალიან პატარა, «ახ. მიმ.» პირ-  
ველ გვერდზეა მოთავსებული. ხოლო ლალის მოწი-  
ნავე წერილი კი მეორე გვერდზედაც გადადის და  
ივანოვიჩის ფელეტონზე მეტია. მეორე, ბ. ივანო-  
ვიჩი დომხალივით ყველაფერს ერთათ კი არ ურევს,  
როგორც იმას ბ. ლალი აწერს, არამედ კითხვა ნა-  
თლათ და გარკვევით აქვს დასმული: პროგრესიული  
მწერალი ვის უნდა ექმაგებოდეს, ნავთის მწარმოე-  
ბელთ მათ ტარიფის გაიაფების ძებნაში, თუ მუშებს,  
მათი ცხოვრების გაუკეთესების ძებნაშიო. აი ეს ერთი  
კითხვაა გარკვეული ფელეტონში და ახლა კი ბ.  
ლალს რომ კითხო, ერთი კა არა და ათი კითხვაა  
გარკვეულიო. თვითონ „ახ. მიმოხ.“ რედაქტია  
ამ ფელეტონში ხედავდა მხოლოთ ერთ კითხვას, როცა  
მას ასეთ შენიშვნას უკეთებდა: «По затрагивае-  
мому здѣсь в вопросу мы раздѣляемъ взглядъ  
изложенный выше, въ передовой статьѣ г. Лали». მესამე, ბ. ლალი ერთ უშველებელ ტყუილს ამბობს,  
როცა გვაწამებს, ვითომ ჩვენ ფელეტონიდან ამო-  
გებოს მხოლოთ ის ადგილი სადაც ავტორი მუშებს  
და პროგრესიულ მწერალს ეხება. არა, ჩვენ მოვი-  
უვნეთ ჯერ მისი ბაასი ნავთის მწარმოებლებთან  
ტარიფის შესახებ და მერე მისი მსჯელობა მუშებზე  
და პროგრესიულ მწერლებზე. აი ეს ადგილი:

«ივანოვიჩი წერს, ამას წინეთ შემხვდა ბაქოს  
ნავთის მწარმოებელი და შემომჩივლა, დადი ტარიფი  
დაგვადვეს და თუ თქვენ პროგრესიული მწერალი  
ხართ ტარიფის დაწევას უნდა ცდილობდეთ, რომ  
მით უცხოეთში ბევრი ნავთი გავიტანოთ და უცხო-  
ელ კაპიტალისტებს კონკურენცია გავუწიოთო. ამაზე  
ივანოვიჩი უგებს» და სხ. («კუალი» № 14 გვ. 219).

ახლა მითხარით ერთი, აქ ვანა არ არის ტარი-  
ფის შესახებ ლაპარაკი? მაშ საიდან დაგვწამა ბ.  
ლალმა სადაც კითხვა დამალა და სხვა რამე წამოა-  
ყნენაო? დას, ახალმოსულს ერთი კარგი მოწაფე  
შესძნია. ღმერთმა მოახმაროს. ბ. ლალი ამ ახალ-  
მოსულს ბევრ სხვა რამებშია აპოლონია. მაგ. ახალ-  
მოსულმა, როგორც იცით, ას ერთ კაცს დაარქვა  
ნულები. ბ. ლალი კიდევ უფრო შორს წასულა  
და მათ არქმევს „ბრძოს“. აი მისი სიტყვები: „განა  
წარსულ წერილში ვერ ამოიკითხა მან (უორდანიამ)  
თუ რა ფასისა გსდებთ ჩვენ კირვალიძეების ბრძოს, რო-  
მელიც გარს ახვევია, „კვალის“ ბელადთ?“ (გვ. 80).  
გამოდის, რომ ვინც „ივერიას“ და მის დამქაშთ  
არ თანაუგრძნობს, ის, ბ. ლალის აზრით, ბრძო  
არის. აი ეს არის, რუსები რომ იტყვიან, დიგი-  
ვორილსა—

იმედია, ბ. ლალი აზ გვიწყენს, მასთან ერთათ  
მის საფარველს ქვეშ მყოფი ბ. ჩიორაც რომ ვა-  
სენოთ. ეს ერთ თავის „ყბალ-ასალებ“ და წყალ-  
წალებ“ წერილში („ივ.“ № 100) არწმუნებს  
თავის მკითხველთ, ძალიან ზღილობიანი „მუშაკი“  
ვარ და ეს მარტო „კვალელებს“ არ სჯერათო. ამი-  
ტომ მოჰყოლია დაუ ვისმეს ოდესმე ის ბ. ახალმო-  
სულთან სიტყვის მასალათ უხსენებია, გამოუწერია  
და დოინჯ შემოყრილი გაიძახის, აი როგორ ეცყრო-  
ბიან ჩემს უმაღლესობასო. აღბათ ბ. ჩიორა თაკი-  
ლობს ბ. ახალმოსულთან ხსენებას! ეს სწორედაც  
სათაკილებელია და სასიმოვნოც არის, თუ კი ის  
ამ დასკვნამდის მივიდა. მაგრამ ის მაინც იმუქრება  
თავისი ახალმოსულით, მოიცათ, ჯერ მას არ დაუ-  
მთავრებია თავისი წერილებიო! ჩიორამ, რასაკვირვე-  
ლია არ იცის, რომ საუღლე ხარს თავშივე შეეტყობა.  
არ იცის, რასაკვირველია არც ის, თუ რას ნიშ-  
ნავს პსევდონიმით წერა. ჯერ ეს არსად არ გავ-  
ნილა, რომ კაცმა იმდენი ილანძლოს უშვერი სი-  
ტყვებით, რამდენსაც ახალმოსული ილანძლება და  
ნიღაბს ქვეშ დამაღლულიყოს. და ეს ვის წინააღმდეგ?  
სწორეთ იმის, ვინც დამაღლული არ არის და ბრძო-  
ლის ველზე პირდაპირ დგას. ჩუმათ, დაუნახავათ  
ტალახის სროლი იმისთვის, ვინც ყველასაგან და-  
ნახულია — ეს ყოველივე მოქალაქეობას და საკამა-  
თო ეთიკას მოკლებული მოქმედებაა. და რაღა გა-  
საკვირველია, ამას ამართლებდეს ბ. ჩიორა, ის  
ჩიორა, რომელიც თვითონაც მუდამ ასე ჩადის.  
მაგრამ ამას არ ამართლებს მკითხველი საზოგადოე-  
ბა და ჩვენდა ნუგეშათ ეს საკმარისია.

### წერილი უთაისიდან.

**ე**ჭთაისის ხელისანთა სამმართველოს ავ-კარგიანთ-  
ის შესახებ თუმცა ხშირათ გვსმენია „საქმენი საარაკა-  
ნი“, მაგრამ იმის ცალი და ბადალი-კა არასოდეს, რაც  
უკანასკნელ ხანებში აქ დატრიალდა. აქაური ხელისანთა  
თავის ბ. კანდელაგის საქმები „მეტი სინათლის“ მეტე-  
ბით ერთ შეენირ დღეს სინათლეში გამოეფინა და მთა-  
ვრობამ, როგორც ეს „განაკვეთი“ მე-16 №-შიაც იუთ აღ-  
ნიშული, კანდელაგი პასუხის გებაში მისცა, თანამდებო-  
ბიდნა გადასუნა და დრობით მისი მოვალეობის წი-  
ნისძღვრობა გადაეცა ბირველ თანაშემწეს ხელაძეს. მო-  
სალდებული იყო, რომ ხელაძეს და მის მეთრე ამხანაგ  
ხოჯაშვილს სახელისნო ბაზების საქმენი წეს-რიგში  
ჩაეწენებათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და უგელიშე.  
ამის მიზეზი, თუ მოხდეთ სამბობს დაგუჭერებთ, ბ.  
ი. ხოჯაშვილია, ეს რეზოუნინგრენით შეფირჭული





ტრანსგალის ქალაქი იოანსბურგი.

მადაზის შეპატრონე, ქონებით ხელაძეზე „განდიდებული“, მაგრამ გონებით კი... ის კერ შეურიცდა ხელაძის „ნაბილართას“ და ხელასნთა თავის სავარქელში წარმოსებულის სურვილშა, საჩივრებისათვის მოაკიდებია ხელი და როცა ამანაც კერ გასჭრა, ხრის შიმართა. 4 აპრილს, სადამის 7 საათზე ის გაეშურა სახელთსნო გამგეობისაგენ და შესვლისათანაგე, გამგეობის სტრონჟისთაღის საყიდლათ გაგზავნა და ამ უადგილო თადარიგს შემდეგ მისგნით ათვალიშნებულ ფ. ხელაძეს მღელარების კილოთი გამოუცხადა: „მე შენგნით არავითარ კანგერტს არ ვდებულობ და არც საჭირო ვრცეს ამ გვარი ქადაღდების მიღებაზე სტრონჟისაგან მოწოდებულს დავთარში ხელი გაწეროთ“. დასასრულ ასეთი პროტესტისა რომ პრისტაული სილის ლაქნის ხდება დაბაზში და როგორც ბოქაულის არსებიერის გამოგვეუგრისაგან ჩანს, ამ უმგვარ საქციელის ჩადენაშიაც ხოჯაშვილის ედება ედება ბრალი. ბ. ხოჯაშვილის, სამართლის უკუდმა მობრუნების სურვილი ადგერია არ მარტო იმ მოსაზრებით, რომ „გადმა გადაებით, გამოდმა შეირჩინს“, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ხელაძეს არჩენების მონაცილების მიღებაშიაც უფლება ჩამოაფრიგნას და თვითთან ფაქტების შევიდობისათვის გავიდეს, მაგრამ „ცუდათ მოუხდა თაბირი და მისგან დასაბირები“. მოხელეების მაღლ შეიგნეს წელის ამძღვრევი გამარტონის „გულის ზრახანი“ და ხელასნთა თავის ასარჩევათ კრება წესარა დანიშნეს. კრება შესდგა ხელაძის თავმჯდომარებით ამა წლის 22 მარტს. სხვა განდიდატებთა შორის, თითქმის ერთ ხშირ დასა-

ხელებულ იქმნა ცნობილი ხოჯაშვილი. ბ. ხოჯაშვილმა ამ დასახელებაში რაღაც უნდობლობა ამოიკონა და უკუთის დაღვებაზე უარი განაცხადა, დიდი ადგებ-მიცემის გაცი ვარ და დრო არ მოჩებათ აქ ხელასნის ებმა შეხედეს მეტების თვალით ხოჯაშვილის გულწრფელის ს და თხოვეს: „თუ საზოგადო საქმის სამსახურისათვის არ გცალიათ, მაშ 1898 წ. ბოძებულ თანაშემწეობაზედაც ხელი აიღეთ“. ეს წისადაცება ხოჯაშვილმა არ შეიწესარა და ამ კითხვის დაბოლოებას კიდევ დიდხანს არ მოედობოდა ბოლო, რომ, მთავრობის წარმომადგენელის სურვილით, კრების თავმჯდომარეს უმრავლესობის სურვილი არ დაუკმაყოფილებია და ხოჯაშვილისთვის უკით არ დაედგა.

კანდიდატებთა შორის გმირი ასე განაწილდა. ფილიპე ხელაძემ მიიღო 129 თეთრი და 29 შავი, ივანე ხოჯაშვილმა 16 თეთრი და 142 შავი, ს. აზაიანიძემ 74 თეთრი და 84 შავი, ნ. გვილაშვილ 38 თეთრი და 120 შავი, ი. სტუბაკვაძემ 30 თეთრი და 128 შავი.

როგორც ზემო მოუკანილი ცნობებიდან დაინახვთ ხელასნთა თავის თანამდებობაზე არჩეული იქმნა ბ. ფ. ხელაძე. სასურველია, რომ ამ ასალგაზდა შირმა მოხელეთა ნდობა საჭმე აქციის და ბეჭდით მოცულ ხელასნთა წრეში მეტი სინათლე შეიტანოს.

ივანე კალაძე.

P. S. როგორც სარწმუნო წესროდნები შევიტარებით ბ. ხოჯაშვილს უგვე შეუტანა საჩივარი და უმოაზრებს მიზეზათ, სხვათა შორის, აღუნიშნავს თავისი სურვილის წინააღმდეგ უკითის დადგება.

ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლა.

გენერას.

**ც**ი წლის წინეთ — ამბობს ერნ. ედვ. ვალიაში — გერმანია სამეურნეო ქვეყნას წარმადგენდა. მრეწველობას იქ კიდევ ფეხი არ მოედგა. საქონელი ძლიერ ცოტა მზადდებოდა გერმანიაში და ისიც ერთობ დაბალი ხარისხისა; ექსპორტი<sup>1)</sup> იმდენათ უმნიშვნელო იყო; რომ ყურადღებას ოფიციალური სტატისტიკაც არ აქცევდა; იმპორტი<sup>2)</sup> კი მხოლოდ გერმანელთა შინაგან მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ამ უკანასკნელ ხანში გერმანიამ სრულიად იცავლა ფერი და ახლა სულ სხვა სურათს ფეხდავთ. შეუჩერებელი და არა ჩვეულებრივი განვითარება გერმანიის მრეწველობა-ვაჭრობისა უნდა ჩაითვალოს მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ფრიად საგულისხმო და ოვალსაჩინო ფაქტი. ამ ფაქტს ყველა სახელმწიფოები განციფრებაში მოჰყავს და მასთან იწვევს მათში სიხარბეს. აი რას ლაპარაკობს პირუთვნელი ციფრები: 1872—1879 წ-დე გერმანიის სავაჭრო საქონლის წონამ მოიმატა  $37\%$ ; 1880—1888 წ-დე  $39\%$  და 1889—1896— $38\%$ , ე. ი. 25 წლის განმავლობაში  $114\%$  მოიმატა.

ამ უკანასკნელ წლებში, მართლია, გერმანიიდან ექსპორტმა დაიწია, მაგრამ ეს ნიშანია მისი ეკონომიურათ გაძლიერებისა და არა დასუსტების. გერმანია გამდიდრდა, ე. ი. გაიაღდა მრეწველობა-ვაჭრობა კაპიტალისტურ ნიადგზე, დაირღვა პატრიარქალური წარმოება, პატრიარქალური პირობები და დღეს ყველა იძულებულია იყიდოს ფულით, რაც კი არის მისი არსებობისთვის საჭირო, რაც კი შედის მის მოთხოვნილებაში. გავრცელდა წარმოება, გაფართოვდა შინაგანი ბაზარიც და ამას მოჰყავა დროებითი დაწევა ექსპორტისა; მეორე მიზეზი — კაპიტალების სხვა სახელმწიფოებში გადატანაა. კაპიტალის გადასახლება გამოიწვია პროტექციონიზმა, დიდმა ბაჟმა რუსეთში და სხვაგან გარეშე ქვეყნების საქონლებზე. მაგ. გერმანელებმა 1899 წელს მარტი რუსეთის მადნებში გადიტანეს საწარმოებლათ  $124.000.000$  ფრანკი. მესამე და ჩემი აზრით — უმთავრესი მიზეზი ექსპორტის დაწევისა თვით წარმოების განვითარებაა. ყველაზე უფრო მეტი გაპქონდათ რკინა და ფოლადი, დღეს კი სხვაზე უფრო ამათმა ექსპორტმა დაიწია. მიზეზი ცხადია: ამ უკანასკნელ წლებში დაარსდა მრავალი ქარხნები და აგრეთვე ერთობ გაიზარდა გერმანიაში

სრულიად ახალი წარმოება — გემების კეთება. ამა- ნირათ ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის მრეწველობა-ვაჭრობა შეუჩერებლათ მიღის წინ.

გადავავლოთ თვალი წარმოების ზოგიერთ უმთავრესს დარგს, გავითვალიშინოთ მათი განვითარების სისწრაფე და შევადაროთ ამავ დარგთა სხვა ქვეყნებში განვითარებას.

ავილოთ მაგალითათ რკინის და ფოლადის წარმოება. 1875 წ. გერმანიაში თუჯილან აკეთებდენ სხვა-და-სხვა საქონელს წონით  $2.147.000$  ტონს; 1895 წელს კი ავიდა  $5.788.000$  ტონამდე; 1875 წ. გერმანიამ დაამზადა  $492.512$  ტონი ფოლადი; 1894 წ. კი —  $3.717.000$  ტონი; 1880 წელს გავიდა გერმანიიდან  $1.301.000$  ტონი რკინა, 1894 წ. კი  $2.008.000$  ტონი. ამავე დროს ინგლისიდან რკინის ექსპორტმა დაიწია. 1883 წ. გერმანიიდან გაპქონდათ ბამბეულობა (ხლოპчатი ბუმაჟნა ზვალები).  $14,666.100$  კილო ( $2\frac{1}{2}$  გირვ.), 1893 წ. კი  $33.350.800$  კილო, ე. ი.  $127\%$  ზე აიწია ათი წლის განმავლობაში. ამ დროში ინგლისიდან ამ საქონლის ექსპორტმა აიწია მხოლოდ  $2,5\%$ .

ქვემოთ მოთავსებული ცხრილები ნათლათ გვიჩვენებენ თუ როგორი სისწრაფით მიღის წინ გერმანიის მრეწველობა და ამასთანავე გვიმტკიცებს, რომ გერმანია ამარცებს მსოფლიო ბაზრის მეფე — ინგლისს.

შევადაროთ თუჯის წარმოება ათი წლის განმავლობაში ინგლისში და გერმანიაში:

	1884	1894
	ტონი	ტონი
ინგლისი	7.528.966	7.364.145
გერმანია	3.465.000	5.380.000

ათი წლის განმავლობაში ინგლისში იუჯის წარმოებამ დაიწია  $164.821$  ტონზე, გერმანიაში მოიმატა  $1.915.000$  ტონი.

რუსეთიდან გერმანია ინგლისელ საქონელს თანდათან აძევებს:

გერმანიიდან რუსეთში შემოუტანიათ სხვა-და-სხვა რკინეულობა (Doppelcentner) 1893 წ.  $391.662$ , დოკელცენტნერი 1894 წ. —  $542.758$ , 1895 წ.  $842.021$

ინგლისიდან რუსეთში იგივე საქონლები 1893 წ. —  $58.987$  ტონი, 1894 წ. —  $39.190$ , 1895 წ.  $50.543$ .

<sup>1)</sup> უცხოეთში გარანა საქონლის

<sup>2)</sup> უცხოეთიდან შემოტანა.

აქედან ცხადათ ვხედავთ, რომ გერმანიას რუსეთში თანდათან მეტი შეაქვს, ინგლისიდან კი თანდათან ნაკლები შემოდის.

აი ცხრილიც რკინის და ფოლადის იმ პორტის და ექსპორტისა (შემოტანა-გატანა) გერმანიასა და ინგლისში.

### გ ე რ მ ა ნ ი ა .

წელიწადი	შემოიტანეს	გაიტანეს
1890	ტონი 491.592	ტონი 957.693
1891	331.503	1.160 488
1892	278.457	1.133.676
1893	286.631	1.213.848
1894	270.315	1.439.285

### ი ნ გ დ ი ს ი .

წელიწადი	შემოიტანეს	გაიტანეს
1890	ტონი 315.674	ტონი 2.706.260
1891	306.506	2.289.023
1892	294.270	1.865.738
1893	276.524	1.897.758
1894	287.604	1.735.757

ეს ცხრილი გვიმტკიცებს, რომ გერმანიამ წარმოების ერთ უმთავრეს დარგში უკვე გადაჭარბა ინგლისს.

ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ გემების კეთება. აქ მოვიყვანთ ამის შესახებ ზოგიერთ საყურადღებო ცნობებს. გერმანიამ უკვე დაიჭირა მეორე ალაგი ამ წარმოებაშიც დედა-მიწაზე, პირველი ჯერ კიდევ ეკუთხის ინგლისს და დიდი ხანი არა მას შემდეგ, რაც გერმანია სხვისგან ყიდულობდა გემებს. დღეს თვით საფრანგეთმა შეუკვეთა გერმანიაში ორი გემი. აგრეთვე 1899 წ. შეუკვეთეს გერმანიაში 24 გემი ბრაზილიამ, იტალიამ, უნგრეთმა და იაპონიამ.

ქიმიურ საქონლის წარმოება-ვაჭრობაში გერმანია უფრო ცხადათ ამარცხებს თავის მეტოქებს, ვინემ სხვა სფერაში. ამ გვარსავე პროგრესს ვხედავთ ჩვენ ცემენტის, მუზიკალურ ინსტრუმენტების, მაშინების და ბევრ სხვა საქონლების წარმოებაში. გერმანიიდან ექსპორტი და წარმოება ამ საქონ კლებულობს.

შუშეულობის წარმოება გვაძლევს ჩვენ შემდეგ ციფრებს. ჭიქეულობის ექსპორტმა ინგლისიდან

1873—1895 წლამდე დაიკლო 328.699 გრტ. სტრონინგიდან 79.901 გირვ. სტრონინგამდე, ე. ი.  $\frac{1}{4}$ -საც ვერ გზავნის დღეს შედარებით 1873 წელთან. გერმანია კი თანდათან მეტს ჰყიდის.

ცემენტს დღეს გერმანია ინგლისზე 100.000 ტონით მეტს ჰყიდის. ინგლისმა 1890 წელს გაჰყიდა 1.281.963 გირვ. სტროლ. ცემენტი, მერე თანდათან იკლო და 1895 წ. — 641.918 გირვ. სტროლ. მეტი არ აულია, ე. ი. 640,45 გირ. სტ. ნაკლები 1890 წელზე.

რა არის მიზეზი, გერმანიის მრეწველობის ასეთი სამაგალითო განვითარებისა? მიზეზი მრავალ გვარია. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ უმთავრეს იმათგანს.

გერმანია შედარებით ინგლისთან კულტურულათ დაბლა დგას. გერმანელს არ აქვს იმდენი კულტურული მოთხოვნილება, რამდენიც აქვს ინგლისელს, ამიტომ პირველი ნაკლები ქირით ჯერდება, ვინემ მეორე. გარდა ამისა, აქ კაპიტალისტები მთავრობის დიდ მფარველობაშია. ისინი, თუმცა ბევრს იგებენ, და მთავრობისაგან ყოველგვარ დამარტინებას ჰქოულობენ, მაგრამ მუშას მაინც მეტ ხანს ამუშავებენ და ნაკლებ ქირის აძლევენ. შედარებით ინგლისთან უფრო გრძელი სამუშაო დღე და მასთან ნაკლები სელფასი<sup>3)</sup> შეადგენს უმთავრეს მიზეზს გერმანელი საქონლის სიათისა და მისი მსოფლიო ბაზარზე გაზრდებისას.

მყორე მიზეზი გერმანელი კაპიტალისტების გამარჯვებისა წარმოებაში ახალი საუკეთესო მეტოდების შემოტანაა. გერმანიის ქარხნებში ტეხნიკა უმაღლეს ხარისხზე დაყენებული. ელექტრო-ტეხნიკა არსად არა ისე განვითარებული, როგორც გერმანიაში. კაპიტალისტებს ძალიან ეზარებათ ძველი მეტოდის, ძველი მაშინების გამოცვლა, რაღაც ეს დიდ ხარჯს იწვევს და ხშირათ შეუძლებელიყა; ამიტომ კაპიტალისტები ძალაუნებურათ ჯერდებიან ნაკლებ მოგებაზე, მაშინ როდესაც ახლათ დაბადებული მრეწველობა იძენს ახალ, უკეთეს მაშინებს და წარმოებაში შემოაქვს ახალი მეორედები, რომელთა შემწეობით შრომა აღვილდება, საქონელი ნაკლებ ფასათ ჯდება; ამ ნაირათ ახალი კაპიტალისტური წარმოება ჯობნის ძველს და აძევებს უკანასკნელის ნაწარმოებ საქონელს მსოფლიო ბაზრიდან. გერმანია გამოვიდა კაპიტალისტურ ასპარეზზე უფრო გვიან და შემოილო ახალი მეორედი და ახალი მაშინები. აი ეს არის მყორე უმთავრესი მიზეზი მისი გამარჯვებისა.

ამის გარდა ორ გარემოებას აქვს კიდევ დიდი მნიშვნელობა გერმანიის მრეწველობის განვითარე-

<sup>3)</sup>) გერმანიაში დღის ქირაა (საშუალო) — 3 ფრანკი; საფრანგეთში 4 ფრ. 82 სანტ.; ინგლისში 6 ფრ 25 სანტ.; შეერთებულ შტატებში 8 ფრ. 75 სანტ. — 10 ფრანკამდე. ინგლისელი მუშა იღებს ორჯელ, შეერთებულ შტატების კი სამჯერ მეტს შედარებით გერმანელ მუშასთან.

ბაზე, 1) რკინის გზის ტარიფი რკინეულობაზე ძლიერ დაბალია და გერმანელ კაპიტალისტს იაფათ უჯდება თავისი საქონლის ზღვის ნაპირამდის მიტანა; ამნაირათ მას უაღვილდება ექსპორტი და სხვა ქვეყნების მწარმოებლებთან ბრძოლა; მას შეუძლია უფრო იაფათ გაასაღოს თავისი საქონელი მსოფლიო ბაზარზე. 2) ბაჟი. გერმანია გარეშე ქვეყნებიდან შამოტანილ საქონელში ახდევინებს დიდ ბაჟს და ამით მას უკეტავს გერმანიის ბაზრის კარს; გერმანელ მწარმოებლებს კი გარეშე საქონელზე დიდი ბაჟის დადება აძლევს საშუალებას ასწოოს თავიანთი ნაწარმოების ფასი; ამ ნაირათ გერმანელი კაპიტალისტი შიგნით გერმანიაში იგებს ერთობ ბევრს და ამიტომ მას აღვილათ შეუძლია მსოფლიო ბაზარზე დაუკლოს თავის საქონელს ფასი და დაამარცხოს სხვა ქვეყნების ბურუუზია. გრძელი სამუშაო დღე, დაბალი ხელფასი, ტეხნიკური უპირატესობა, რკინის გზის დაბალი ტარიფი და დიდი ბაჟი გარეშე ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე — აი უმთავრესი ფაქტორები გერმანიის მრეწველობის უმაგალიოო განვითარებისა და მის მიერ მსოფლიო ბაზარზე გამარჯვებისა.

აქ მოვიხსენიებთ კიდევ ორ ფაქტორს. ა) გერმანელები ხშირათ თავის საქონელს აკრავენ ინგლისელ მარკის და მერე სადმე მიაწერენ წერილი ასოებით: „გერმანიაში გაკეთებული“. გერმანელი საქონელი გარეგნობით ინგლისურს წააგავს და ხშირათ უფრო ლამაზიცაა, მაგრამ ლირსებით კი ინგლისელ საქონელზე ბევრათ დაბლა დგას და რასაკვირველია უფრო იაფათაც ლირს. მაგრამ მყიდველი ვერ არჩევს ლირსებას და, კიდეც რომ გამოიცნოს, მაინც დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში კაცობრიობის უმრავლესობა იძულებულია დაქმაყოფილდეს უფრო იაფი, მაგრამ უვარებისი საქონლით. ამნაირათ გერმანელები ფალსიფიკაციის შემწეობით მოვებული რჩებიან.

ბ) ინგლისელი მუშა უფრო ბევრს თხოულობს ცხოვრებიდან; მისი მოთხოვნილები უფრო რთული და მრავალ-გვარია; ის მონიბას გადაჩვეულია; მას მეტი თავმოყვარეობა აქვს და უკეთ ქსმის თავის ლირსება; მას აქვს შეგნებული, რომ მისი შრომა საფუძველია, წყაროა კაცობრიობის სიმდიდრისა და ბენიფიციებისა, და ამიტომ ის ბრძვის, რათა დაიბრუნოს რაც შეიძლება მცტინაწილი მისგან შექმნილი საქონლისა; იბრძვის შეერთებულ მუშათა ამხანაგობის შემწეობით. პოლიტიკური თავისუფლებაც ხელს უწყობს მას. ამ ბრძოლის შედეგაც ხშირი გაფიცვა, რაც, რასაკვირველია, აიღი საზარალოა ინგლისელი კაპიტალისტებისათვის... ხშირათ გაფიცვის გამო მათ უცურდებათ ხელიდან ბაზარი. გერმანია-

ში კი სხვა წეს-წყობილებაა; ბოლოიტიკური მათგარენია უფლება ნაკლებია, ბურუუზიას დიდი უფლებები აქვს, ძალადობას მეტი აღილი უჭირავს და მუშები მოკლებული არიან საშუალებას თავისუფლათ შეებრძოლონ თავის ექსპლუატატორებს. ამნაირათ გერმანიის ბურუუზია უკეთეს პირობებშია და მეტსაც იგებს.

დ. თოფურიძე  
(დასასრული იქნება)

## მ ც ი რ ე მ ე ნ ი შ ვ ნ ა

**ს**რული დარწმუნებული კარ, ჩვენი საზოგადოების დიდი უმრავლესობა ( $95\%$  მაინც) ასაღ საშუალებით სასწავლებელს კიდევ აღმატერათ უკურებს. სხვა სიტუაცია რომ კოქათ ამ სასწავლებელს ერთ უბრალო სისკა სასწავლებელთან სხერხის ღიასათაც არა თვალიან. და მერე კიდევ იცით რომელი რეასია წევრები? რომელიაც განათლების მს სავ პირებულთა რაზმს კუთხიან ჩვენ საზოგადოებში... დასამტკიცებლათ ამისა მე მოვიყენ სატევით სიტუაცია ის ჭაპარებს რომელიაც მე თვალიან შემსვადა წარსულ კირაში ერთ ოჯახის წევრთან თვალიან შემსვადა.

— ისეცით ალექსანდრე მასამზადებლათ ვისმეს? შეკვითხე მე ერთ ჩემ შეგობას, რომელსაც ერთათ ერთი ქადა-კაჟი ჰქონის, მეტი არა.

— როგორ არა!

— რომ, ლა სასწავლებელისთვის ამზადებიერთ? შეკვითხე გიღებე.

— გიმნაზიისთვის.

— ასაღ სასწავლებელში მიგეცა, არ კობდა? კიდევ მიკეცა გითხვა.

— არა.— ერთი გაჟის მეტი რადგან არა მყავს, იმაზე სარჯე აღარა კზოგავ და მინდა უნივერსიტეტი გავათვებით უსათურო.

ეს „ხარჯს არ გზოგავ“ ისეთის კილოთი წარმოთქმა ჩემია შეგობარმა, თითქო სიიათისათვის უწევებდა ასაღ სასწავლებელში გაჟის მიცემას. ამას რა თქმა უხდა სხვაც ბევრი მოჭევა და ბოლოს როივე იმ აზრს დავადგეთ, რომ დიდი საჭიროა ამ საკითხის გადაწყვეტია გაზეთის საშუალებით. დას, მაშინ მეტ დავეთხები გაზეთით ამ საკითხის გადაწყვეტიზე, მაგრამ მერე, როცა ბევრი გითვიქე, როცა კარგათ დაუშევებირდა ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას და მის საჭირებას თითქმის გადაწყვეტით უნდა აღვიარო, რომ გისაც შექვება არ აბრკოლებს, გიმნაზიაში ბაგშის მიანერებას ბევრად ჭრია ახალ საკომერციო სასწავლებელში მიაბარეს<sup>1</sup>), ხდეთ ჩვენე-

<sup>1)</sup> ის „კვალის“ № 17 ი. გომელაურის წერილი.

ბურ უნივერსიტეტიში სარჯის და დროს დაკარგვას იმა-  
ვე სარჯით და დროით საზღვარ გარეთ წასვლა, ჯობს  
უმაღლესის სპეციალური სწავლა ცოდნის გაგრძელება და  
ეკონომიკური განათლებით აღჭურვილი სამშობლოში დაბ-  
რუნება. ჩემი აზრით, ამით უფრო ბევრს სარგებლობას  
მოუტანს ჩვენ ქვეყნისაც და თავის თავსაც კაცი. და-  
სასრულ იმედია „პრალის“ რედაქცია ამ საკითხზე თა-  
ვის აზრს წარმოქმნას მეტათ არ ჩათვლის, რადგანაც  
გაზრდის გამოთქმულ აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა  
აქვს მკითხველზე ვიზურე გერძოთ ერთი და ორი კაცის  
დაპარაგს<sup>2)</sup>.

ბათომი 7 მაისი.

კ. თავართქილაძე.

## გ ა კ ვ რ ი თ.

**გ**იორა ძალიან გაწიწმატებულა, როგორ თუ „მრა-  
კბების“ მიწოდებ და თავის „სახელდახელოდან“ ერთი  
გუნდა ტალასი ჩემისაც გადმიისროდა. შენც ხომ „ივე-  
რიას“ რედაქციაში მსახურებდი და თუ ეს რედაქცია  
„მრაკბებსთა ბანაკია“, მაშ შენც „მრაკბების“ უფლი-  
სართ. სწორეთ ჩიორული დოლივაა! თითქო უფლები კაცი  
თანავეგრძნებდეს იმ დაწესებულებას, რომელშიაც მსახუ-  
რებს და რომელთანაც შეიძლება არავერი საურთო არ  
ჰქონდეს! მეც მხოლოდ ვმსახურებდი „ივერიას“,  
რედაქციაში და ზნეობრივ-იდეიურათ-კი, ჩემდა  
სასიხარულოთ, არავითარი კავშირი მასთან არა  
მქონდა. ხლოდ როგორც-კი დავრწმუნდი, თუ რა საჭ-  
ხთან მქონდა საქმე და როცა ჩიორას ბართლობის ქვეშ  
სამსახური ჩემთვის აუტახელი შეიქნა, მაშინ-კი კავშირი  
შევწევილე ამ რედაქციასთან და კადეც მოვქუსდე იქმდნ  
უგნ მიუხედვათ. და განა მარტო მე მოვქმედი ასე  
„ივერიას“? განა ასეთი მაგალითები მრავლეთ არ იცის  
თვითონ ჩიორაშ? მართლაც-და, რათ შეაციეს ზურგი  
„ივერიას“ ასე ზიზდით და შემდეგ რათ აღიჭურებ  
მის და მისი სულის ჩამდგენელთა წინააღმდეგ ასე. სას-  
ტიკათ მის თანამშრომლებათ ნამეფით ჩენი ასალგაზდა  
შეწერები, თუნდა მაგალითათ: ე. ნინოშვილი ი. ცინცა-  
ძე (იგივე ა ქალაძე). ი. ეგდოშვილი, და სხვა? იქნებ  
ისინი ასე იმიტომ მოქმედენ „ივერიას“ რომ ჩიორაშ  
(როგორც ეს ფაქტორი ჩემ შესხებ ასე დაურიდებლათ  
ცურულს) მათ „მთსაშორებლათაც რამდენჯერმე ხელი  
ჩამოისვა მხარზე“? ან იქნებ იმიტომ, რომ,  
მათაც „უბრალო რამ გადადგენდ და უფლებად ცხა-

დი ცნობის თარგმანა-წერტილი კერ მოენდებული გადა-  
გულზე ხელი დაიდეთ, ბ-ნა ჩიორავა, და  
თუ თქვენგან შესაძლებელია შესუხი, მიასუსეთ  
ამ კითხვებზე, თუ არა და, თქვენთვისვე უკეთესია, ჩა-  
ჩუმდეთ...

სე. პ—ლ.

## პატირა ყარამანიანი

(კარი პირველი)



ალბუზისა მთას ყარამანი  
მხრით მიბჯნოდა და ისე  
ეძინა, რომე არა ინძრეოდა  
მისსა სახეზე თვალისა ქუთუ-  
თონი. მარჯვენა ხელი მუ-  
ცელსა ზედა დაედვა და  
მარცხენა ალგეთის მთასა მოეხვია. მისსა გარშემო,  
ვითარცა ეს შეპტერის მონათა, იდგნენ დევნი მრჩო-  
ბლ-ორკეტისა მოწიწებითა, ხოლო ერთი მათგანი,  
ბარამჯიბილი, ხმალსა ყარამანისასა ლოკდა ენითა  
და ფარსა მისსა ამბორს უყოფდა გარდან ქეშანი.  
კუკუმდევი, რომლის სახელი იყო ფხანია, კი-  
ბით ზევით აციცებულიყო და ყარამანისა ქეჩისა  
ისე ჰევანდა, რომე მდევთაგან მდევს შიგნით გული  
ელიტინებოდა. ქვევით დედამიწა გაუჩემდებულიყო  
და ზევით ცისა კრიჭა შეპტერი ესოდენ სანახაო-  
ბითა. ასეთი იყო ყარამანისა განსვენება, როდესაც  
კოჭლი მდევი ექვს-ცეხა რაშითა იალბუზის მთის  
მწვერვალისაკენ მიექანებოდა და, რა მიუახლოვდა  
მდევთა ამალას, ისეთის ხმითა შესძახა, რომე კუკუ-  
მდევი ყარამანის ქეჩიდან გაღმოვარდა. „ო, მდევ-  
თაგან მდევო, ყარდაშ-ყარამან, როგორითა ძალითა  
გძინავს შენ, როდესაც გაღმი ესოდენ ჯარი ჩვენ-  
ზედა მოჯარებულოა!“ მაშინ გამოელვიდა ყარამანს,  
მაგრამ ჯერ არტალა მოითხოვა და რა იალბუზის  
ქედი მუცლითა განზე გასწია მობრუნდა  
გალმა მხრისაკენ. შებლი მისი მთისა გრეხილსა  
დაემგზავსა და სახეზე ისეთი ალმური ივარდა, რომე  
ცასა ნათელი ფერი დაედვა. ბარამჯიბილი თოვლი-  
ვითა გათეთრდა და გარდან ქეშანი მუხლებში ჩა-  
კეცა, ხოლო კუკუ-მდევი და დანარჩენნი ორ თა-  
ვიანნი მდევნიცა მათსა წინაშე დაემხნენ. „ფალა-  
ვანნო, მო, ფალავანნო, მე აქ აღამიანის სუნი მო-  
მელინების!“ სთქვა ყარამანმა და ისეთისა ძალითა  
დაპკრა იალბუზის მუხლი რომე დედამიწამ ზანზარი

<sup>2)</sup> ჩვენ ერთიანთ ვეთანხმებით ამ საგნის შესახებ ბ. ი. გომელაურის წერილს, ხოლო უფრო ვრცლათ ვეცდებით შემდეგ მოვილაპარაკოთ. კარგი ჯერ რომ მკითხველები გა-  
მოქვამდენ თავის აზრს ამ საგანზე.

დაიწყო და ცაზე ორუბელნი მიიფანტნენ; მაშინ მზემან შეანათა ყარამანს თვალებში და მან დაინახა რომე მას მხრებზე მრავალი თავი აკლდა.— „რომელმან გაბედა ესე რომე ჩემსა თავებსა შეეხო და ანუ სად წარიღეს იგინი! და, აღმიანო, გასრესავ შენ, ვითარცა გამისრესიეს მრავალი, გაგაწვენ შენ სიგძეზე ხმლისა ჩემისასა და შიგნეტიკეულსა შენსა გავანივებ, „ჯარო და ჯამათო“, და მონანო ერთგულნო, სად არის ჩემი თავებრ! მე თქვენ გეუბნებით, რომე ერთისა შესუნთქვითი უჩინარ ვყოფ თქვენგან სპასა მაგას და მოვსრავ ქვეყანასა ზედა სახელსა მისსა. ვინა არს იგი უგუნური რომე შეეხო ყვრიმალსა ჩემსა და რათ არს სათხარი იგი, რომელმან მთასა, რომელსა ვესვენე მე, ესრეთ განუხვრიტნა საძირკველი. გიჩვენებო მე მისსა ქარაფშუტობასა და ერთითა. მშვილდისა მოზიდვითა გავატან ქარსა ბუმბულსა მისსა!“ დადუმდა ყარამანი, ხოლო მდევნი მიეცნენ სიხარულსა ყარამანისა ესოდენის, რიმამაცითა. ბარამჯიბილმა გარდან ქეშანსა ლოყა დაუკოცნა და კუკუმდევი სამზარეულოში გაიქცა. დანარჩენნი ართავიანნიცა მათსა გარეშემო ტაშსა უკრავდნენ და ესრეთ მიეცნენ ზეიმსა და სიხარულსა. მაშინ ყარამანი ავიდა იალბუზისა მწვერვალსა ზედა, რომე მოზიდოს რისხვისა ისარი და ჰკრას გულსა მტრისასა. დაიჭითხა ყარამან-ყარდაში და ისე დაიჭითხა, რომე თვალებში სისხლი წამოუდგა და მუხლებმა ძაგ-ძაგი დაუწყეს. მძიმე იყო ისარი მისთვის და უმძიმეს უფრო შვილდი, მაგრამ ყარამანი არ შეუშინდა მას და ჰკრა ბოძალი მტრისა ბანაკსა შიგან. შეიძრა მთა და ბარი; აქეთ კორიანტელი ადგა და იქით მტვერი ჰაერში განიბნია. ხოლო მდევთ „ურა“ დაიძახეს და რა დაემხენენ ყარამანისა წინ, დაიწყეს შესხმა გმირისა სიმღერით:

„ყარამანის ისარი,  
რომ სჭექს და ქუს ისარი,  
კიდევ გაჲკა ყარამანი,  
ჩვენო ცახ-გალავანი!“

მღეროდენ მდევნი, ხოლო ყარამანმა კი დოინჯი შემოიყარა, გაიარ-გამოიარა რამდენჯერმე და გამარჯვების ნიშანათ ერთიც უკან გადიზნიქა. ამ დროს მის წინ დაეცა რაღაც კოლოფი, რომელიც გადაისნა და გაღმოაგდო ერთი უცნაური ავგაროზი, რომელსაცა ზედ ადამიანთა ენაზე ეწერა „სარკე“, ხოლო მდევთა ენაზე ითარგმანების „ჯაღოქრობათ“. გაოცდა ყარამანი, და ერთი ისეთი დაკივლა, რომე ბარამჯიბილმა თავი გარდან ქეშანს თავში იჯახა და ორივე თავი ისე შეეტკუცა ერთმანეთს, რომ მათი განშორება აღარ შეიძლებოდა, თუ ამ დროს კუკუმდევს სამზარეულოდან ირტალა

არ გამოეორია, რომლისა დანახვაზე ბარამჯიბილს კბილები აუძაგძაგდა და გარდან ქეშანს პიროვანების მდინარე წარმოექცა. ორივე მდევნი გაჲკანდენ მისკენ და რა გასწიეს არტალის თავთავისკენ თავებიცა გათავისუფლებულ შეიქმნენ. ხოლო ჯაღოქარიკი ხან აგორდებოდა ყარამანის წინ, ხან ჩაგორდებოდა. „და, მდევნო, ხედავთ ამ ჯაღოლსა, რომელი ასე მაცდუნებს მე. ეს არის მტრისა ძალი-ძალთაგანი მოგზავნილი თქვენსა ყარამანზე, მაგრამ აბა ნახეთ, როგორ გავწურო მე იგი ერთისა ხელითაო“ თქვა ყარამანმა და დასწვდა ჯაღოლს მდევებმა შიშით მუხლებში ჩაიკეცეს. ორჯელ დაინაცვლა ყარამანმა, მაგრამ ჯაღო ისევ ისე დარჩა როგორიცა მოევლინა მას. „ხმალი, ხმალი!“ შეუძახა ყარამანმა სანჩო-პანჩო მდევთაგანს, რომელმანცა მოართვა მას ხმალი. იძრო ხმალი ფალავანმა და მოუქნია ჯაღოლს, მაგრამ ოფლმა წალეკა იალბუზის მთა და ჯაღო კი უვნებლათ გორავდა ყარამანის წინ. ის სიბრაზისაგან ფეხებსა სცემდა იალბუზის მთასა. მაშინ მან მოითხოვა ფერია, რომელზედაცა შესვა კუკუმდევი და გაგზავნა ფაშკუნჯთან იმ ნატვრისთვალის მოსატანათ, რომელიცა გააქარწყლებს ჯაღოლს. ასე ურჩიეს თვისმა ქვეშვრდომმა მდევებმა. ხოლო თვით კი შემოეხვივნენ ყარამანს გარშემო და რომ მას არ ჩაძინებოდა და ჯაღოქარი ხელიდან არ გაჲპაროდა, ვიდრე ოდენ ნატვრისთვალსა მოიტანდენ, მათ კვლავ გამართეს ზარი და ზეიმი და უმღეროდნენ მდევთა მდევს:

„ყარამანისა ისარი,  
რომ სჭექს და ქუს ისარი,  
კიდევ გაჲკა ყარამანო,  
ჩვენო ცახ-გალავანი!“

ი. ევლოშვილი

### ზორილი რედაციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო!

**უ**მორჩილესათ გთხოვთ, თქვენ ჰატივცემულ გაზეთ «კედალში» დაუთმოთ ადგილი ამ მცირე შენიშვნის. ამის წინათ «ივერიის» რედაქტორი მიუკურანე ჰატანა წერილი დასაბეჭდათ, რომლითაც ბ-ნ «ასალმოსულს» კოსოვდი გაზეთის საშეალებით ნება მოეცა ჩემთვის თავისა საპოლემიკო წერილების ცალებ წიგნათ გამოცემისა ბ-ნ 6. უორდანისა 『პრესასთან』 და საპოლემიკო წერილებთან ერთათ. რედაქტორი მისაშესეს: «უგნიაზრთ» კერ დაგეჭდდევთ. რადა ჯანი მერნდა, დაუტოვე «კნიაზის» მისართმევათ ჩემი წერილი, იმ პირბით, რომ თუ დაბეჭდის ნებას არ მისცემდა «კნიაზი» 『ივერიის』

ფრთხოები უნდა გამოუწვესადებინა უარი მშინებ. მას შემდეგ ორ კვირაზე მეტია, მაგრამ «იყვარამ» ჩემი წერილის დაბეჭდება ირ ინება — მიზეზი გრძელი გამიგია, ამიტომ «კვალის» საშეადგით ვთხოვ «ასლომს უდის». რადგან მისი ფრთხოების გამომყდარებას არ ინების რომელიმე გაზირის საშეადგით, თუ სურვილი აქვს მომცეს ნება მისი საპოლემიკო წერილების ცალკე წიგნათ დაბეჭდისა ბ-ნ ს. ქორდინის «პრესასთან» და პოლემიკურ წერილებთან ერთათ<sup>1)</sup>.

ქ. ბათომი 7 მაისი,

კ. თავართქილაძე.

საბოლოოებო, სამეცნიერო და სალიცერაციურო  
ნახადების გაშეოთ

## „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც უოველ კვირაში ერთხელ  
ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქტორისაგან: ახალი წლიდან „კვალის“ მიემატება ბროგრამის უკეთა განეთვილებები, დისტაციაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წევ.

გაზირი წლიურათ დინს გაუგზავნებათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნებათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგზავნებათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შეურათ. ხელის მომწერების წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

სელის მოწერა მიიღება თვედისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: თიფლის. რედაქცია „კვალი“. ადრესის ადრესი:

<sup>1)</sup> რადგანაც პ. ახალმოსულის პოლემიკა სრულებით არ ეჭება ჩვენი „კრესის“ საგანს, აღისათვის «პრესის» იმ წერილებთან გამოცემას საჭირო არა ვთვლით. ხოლო ჩვენი „გზა და გზა“ შეუძლია პ. თავართქილაძეს გამოსცეს პ. ახალმოსულის წერილებთან ერთათ, თუ კი ვისმესთვის საინტერესო იქნება. პ. თავართქილაძეს ამასთანავე გრძავცემი იმ მრავალ პროტესტის წერილებს ახალმოსულის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ მოგვდის და უადგილობის გამო პავარეზი ვერ ვეძებდავთ. ასე-თვე ჩვენ წინააღმდეგ მომართულ წერილები მოსთხოვოს ივერიის რედაქციასაც და უკეთა ეს, თუ სურს პ. თავართქილაძეს, საპოლემიკო წერილებს მიახერიოთ.

ნ. ქ.

## თვილისის

იმპერიუმის  
სამთხვევო მინისტრის

## ქალაქის გამგეობა

საუკელოთათ აცხადებს, რომ იყი მიიღებს შეწირულებას სოფელ მარტეოფის (თფილი სის მაზრა) მაცხოვის ხელო-უქმნელის სახელობის ტამრის განსახლებლათ.

(2-3)

ამ წლის 20 აპრილს გაიხსნა

## ქალაქის

### საქართველოს კანკაზი

სოლოლაძისა და რიტერენტის ქუჩების კუთხეში,  
თ. ბეგუთოვის სახლში.

ამ დარბაზში მოხდება ხოლმე ვაჭრობა ყოველ გვარ მოძრავთა ქონებათა, თანახმათ სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა, საკრელიტო დაწესებულებათა, დამგირავებელ კასსათა და კერძო პირთა თხოვნისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ხოლმე შენობის დარბაზში, მაგრამ ესევე ვაჭრობა შეიძლება მოხდეს ნივთების მეპატრონეთა სახლში, დუქნებში და მაღაზიებში.

დაწერილებითი პირობები საქონლის გასაყიდათ დანიშნისა, მისი შენახვისა და საზოგადო ყოველივე პირობა, საჯარო ვაჭრობის დარბაზისა „მურველს შეუძლია შეიტყოს ზემოხსენ ებულ დარბაზში.

(2-5)

## ჩვენი პველი გმირები

თხულება გ. წერა-კითლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.

## „კვალის“ და „ჯავილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგ. 50 ბ.)	30 ბ.
ალბორი,, ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაგ. 20 ბ.)	30 ბ.
შატრარა ლორდი . . . . .	30 ბ.
ჩვენი ქალი გმირები . . . . .	30 ბ.
თეთრი და ზანგი . . . . .	15 ბ.
სოლომონ მეფე . . . . .	10 ბ.
ორი მთხოვნება ებ. ნინოშვილისა . . . . .	10 ბ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ. წერა-კითლისა.